ხაშურის მოამბე

№25 23 ნოემბერი, ორშაბათი, 2015 წელი

23 ნოემბერი - წმიდა დიდმოწამე გიორგის ბორბალზე წამების დღე

წმიდა გიორგი საქართველოს მეოხი და მფარველი წმინდანია. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა წმიდა გიორგი ხილულად ქართველთა ლაშქარში დიდგორისა და ბახტრიონის ბრძოლებში. საქართველოს ბევრ ევროპულ ქვეყანაში წმიდა გიორგის სახელის მიხედვით „გეორგიას“ ეძახიან და საქართველოში ეკლესიების უმეტესი ნაწილი წმიდა გიორგის სახელზეა აგებული. საქართველოში წელიწადის ყოველ დღეს იზეიმებოდა გიორგობა, რომელიც წმიდანის სახელობის რომელიმე ტაძართან, ხატთან ან მის მიერ აღსრულებულ სასწაულებთან იყო დაკავშირებული. ხალხურ მეტყველებაში შემორჩენილია 365 წმიდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც წმიდა გიორგის წელიწადის ყოველდღიურ დღესასწაულთან არის დაკავშირებული.

23 ნოემბერს აღინიშნება წმიდანის ბორბალზე წამების დღე, რომელიც, გადმოცემით, წმიდა ნინოს დაუდგენია დღესასწაულად. ცნობილია, რომ წმიდა ნინო ნათესავი იყო წმიდა გიორგისა, განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა მას და თავის მოქცეულ ქვეყანასაც უანდერძა დიდმოწამის სიყვარული.

ცნობილია წმიდა გიორგის ბორბალზე წამების საოცარი ისტორია: როდესაც პირველ დღეს ნაწამები წმიდა გიორგი მეორე დღეს ისევ წარუდგინეს იმპერატორ დიოკლეტიანეს,წმინდანმა მას მუქარის საპასუხოდ მიუგო: „უმალ შენ მოუძლურდები ჩემი ტანჯვით, ვიდრე მე, შენს მიერ გვემული“. განრისხებულმა იმპერატორმა ბრძანა, ყველაზე მძიმე სატანჯველით ეწამებინათ იგი. დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილებიანი ძელები დაედოთ. სხეულდასერილმა წმიდანმა ჯერ ხმამაღლა აღუვლინა ლოცვა უფალს, შემდეგ კი დადუმება არჩია. დიოკლეტიანემ იფიქრა, უკვე აღესრულაო, უბრძანა ჩამოეხსნათ სხეული ბორბლიდან. თვითონ კი აპოლონის ბომონს მიაშურა სამადლობელი მსხვერპლის შესაწირად.

მოულოდნელად სრულიად ჩამობნელდა, ჭექა-ქუხილმა შეაზანზარა ქვეყანა, ცოტა ხნის შემდეგ მაღლიდან მოისმა ხმა: „ნუ გეშინინ, გიორგი, მე შენთანა ვარ!“ ბორბალთან უჩვეული ნათლით მოსილი ჭაბუკი გამოჩნდა, ხელი შეახო მოწამეს, უთხრა: „გიხაროდენ!“ და გაუჩინარდა, წმიდა გიორგი სრულიად უვნებელი წამოდგა ბორბლიდან და თაყვანი სცა ჭეშმარიტ ღმერთს.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: სტიქიის შედეგად დაზარალებულებს ყველანაირად გვერდში დავუდგებით

მსოფლიო გლობალური დათბობა,როგორც ჩანს,ჩვენი მუნიციპალიტეტისთვისაც ერთ-ერთი გამომწვევი პრობლემა ხდება. ყოველ შემთხვევაში,სპეციალისტები სხვაგვარად ვერ ხსნიან ბუნების იმ უჩვეულო მოვლენებს, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, დამახასიათებელი არ არის ჩვენი რაიონისთვის. ჯერ

იყო და გასული წლის ზამთარმა გაგვაკვირვა დიდი თუ პატარა – ფაქტია, ასეთი უთოვლო და უნალექო ზამთარი არავის გვახსოვს. ახლა კი, ჯერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ შემოდგომის მიწურულმა შემოგვთავაზა მკაცრი „სიურპრიზი“. არ ვიცი მოხუცები გაიხსენებენ თუ არა,მაგრამ ამ სტრიქონების ავტორს ნამდვილად არ ახსოვს თითქმის ათდღიანი გაუთავებელი და გადაუდებელი წვიმა. წვიმასაც გააჩნია! გარკვეულ მონაკვეთებში ზეციდან თითქოს პატარა ღელეების უწყვეტი ნაკადი მოთარეშობდა და ერთობლიობაში საშინელ მდინარეებს ქმნიდა. პატარა ნაკადულები ისე გაგიჟდნენ, გზად ყველაფერი

მიჰქონდათ და მრავალი მოსახლის ბინების პირველი სართულები აუზებად აქციეს. ამ ყველაფერს კი, თითქოს ეს არ იყო საკმარისი, საშინელი გრიგალი დაერთო (ასევე უჩვეულო ჩვენი რაიონისთვის). სულაც არ გვინდა, რაღაც აპოკალიფსური სურათი დავხატოთ, მაგრამ ფაქტია, რომ სტიქიამ ჩვენს მუნიციპალიტეტს ასეულათასობით ლარის ზიანი მიაყენა. რა გზებით აპირებს ხელისუფლება ამ ზარალის აღმოფხვრას, რა სამუშაოები ხორციელდება და როდის მოხდება განადგურებული ინფრასტრუქტურის შეკეთება... აი, ის ძირითადი თემები, რომელზეც, ჩვენი თხოვნით, მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **გიორგი გურასპაშვილი** გაზეთის მკითხველს ესაუბრება.

–საშინელი დღეები იყო. ჩვენ გვქონდა მონაცემები, რომ რამდენიმედღიანი წვიმები იყო მოსალოდნელი და ერთგვარი მცირე პრევენციული ზომებიც მივიღეთ წინასწარ, მაგრამ ასეთ დელგმას არავინ ელოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, ყაზარმულ პირობებში გაატარა ის დღეები. გამგეობის ყველა სამსახური მუშაობის თითქმის 24 საათიან რეჟიმში გადაერთო. არცერთი წუთით არ შეუწყვეტს ჩვენთან კონტაქტი რაგიონის გუბერნატორს, ქვეყნის მთავრობაც გვერდით გვედგა. სამაშველო სამსახურთან ერთად შეიქმნა ჯგუფები და როგორც შეგვეძლო მოსახლეობას ვეხმარებოდით. საშინელ პირობებში გვიხდებოდა ადგილობრივ მდინარეებთან ბრძოლა. რომ არა ასეთი მობილიზება და კოორდინირებული მუშაობა, ზარალი გაცილებით დიდი იქნებოდა. თუმცა, სამწუხაროდ, არც ახლაა ცოტა. წარმოიდგინეთ, მხოლოდ კორპუსებისა და ცალკეული ბინების სახურავების თავიდან გადახურვა თუ

შეკეთება 800 ათას ლარს გასცდება. დაზიანებული ნაპირების შეკეთება ასიათასზე მეტი დაჯდება, სპეციალური კომისია ცალკე ითვლის მოსახლეობის დატბორვის შედეგად მიღებულ ზარალს და ესეც ექვსნიშნა ციფრზე ავა. რა თქმა უნდა, ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ შეძლებს ამხელა თანხის მობილიზებას. თუმცა, გვერდში გვიდგას ქვეყნის მთავრობა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უკვე მზადაა თანხები გამოყოს. ჩვენ შევეცდებით, უმოკლეს ვადებში მოხდეს ბინების გადახურვა, დაიწყება ნაპირსამაგრი სამუშაოებიც. ვეცდებით, მოსახლეობა სამშენებლო მასალებით მოვამარაგოთ. კარგად გვესმის, რომ ზამთარი უკვე კარს მოგვადგა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ დაზარალებულმა ჩვენმა მოქალაქეებმა სტიქიის შედეგად მიღებული ზიანის აღმოფხვრა შეძლონ. ამჟამად გამგეობის სრული შემადგენლობა და საკრებულო სწორედ ამ სამუშაოებითაა დაკავებული და ხდება

თანხების მობილიზება. გუბერნიის, ქვეყნის მთავრობის გვერდში დგომა გვაფიქრებინებს,რომ ზიანის ლიკვიდირებას უახლოეს პერიოდში შევძლებთ.

გ. გოგოლაძე

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გამაგრებითი სამუშაოები დაიწყო

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა დიდი ხანია გამაგრებით სამუშაოებს ითხოვდა. მუნიციპალიტეტის გამგეობის მცდელობით წელს მოხერხდა და ეს სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სამხარეულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ შედგენილი პროექტის მიხედვით, შენობის გამაგრება უკვე დაიწყო და ამისთვის 57667 ლარი გამოიყო. სამუაშაოები, სავარაუდოდ, წელსვე დასრულდება და მუზეუმის შენობაც განახლებული სახით დახვდება დამთვალიერებლებს.

<u>სპეციალისტი გვირჩევს</u>

როგორ დავიცვათ კარტოფილის ჩრჩილისგან მოსავალი

2008-2009 წელს საქართველოში ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე კარტოფილის ნათესებსა და საცავებში დაფიქსირდა საშიში საკარანტინო მავნებელი კარტოფილის ჩრჩილი. მოგვიანებით კი, საშემოდგომო გამოკვლევებით, მავნებლის გავრცელება აღინიშნა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. დრესდენელობით, ანალოგიური საფრთხის წინაშე დგას ხაშურის მუნიციპალიტეტიც. საკითხის უკეთესად გასაცნობად და პრობლემიდან გამოსავლის გზებზე საქართველოს ეროვნული სააგენტოს, შიდა ქართლის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტს, რამაზ ღამბარაშვილს გავესაუბრეთ.

რამაზ ღამბარაშვილი: კარტოფილის ჩრჩილი სერიოზულ საფრთხეებს

უქმნის მთელ რიგ სათეს სავარგულებს. დროული რეაგირებაა საჭირო მის წინააღმდეგ საბრძოლველად. კარტოფილის ჩრჩილის პეპელა რუხი ფერისაა,მომცრო ზომის. მშვიდ მდგომარეობაში ფრთები დაკეცილი აქვს ზურგზე. მავნებელი ზამთრობს მატლის ან ჭუპრის ფაზაში მცენარეული ნარჩენების ქვეშ, ნიადაგის ზედა ფენებში. პეპელა გამოფრინდება ადრე გაზაფხულზე და ბუნებაში გვხვდება ოქტომბრის ბოლომდე. ისინი აქტიურები არიან მზის ჩასვლის შემდეგ და განთიადისას, დღისით კი სხედან „პატრონ“ მცენარის ფოთლების ქვედა მხარეს. მდედრი პეპელა განაყოფირების შემდეგ იწყებს კვერცხდებას. კვეერცხს დებს ჯგუფებად ან ერთეული სახით ფოთლებზე,ყუნწებზე,ღეროებზე,ნიადაგით დაუფარავ კარტოფილის გორგლებზე,უფრო იშვიათად ნიადაგში (მინდორში) და საცავებში კარტოფილის გორგლებზე თვლების ჩაღრმავებაში, ბზარებში, მექანიკურად დაზიანებულ ადგილებში და გორგალზე მიკრულ მიწის გოროხებში. გამოჩეკილი

მატლები საკვების ძიებაში აქტიურად გადაადგილდებიან. შეჭრის წინ სხეულის გარშემო ქსოვენ აბლაბუდას თავის დასაცავად. შემდეგ პარენქიმის ამოჭმით ფოთლებში და ღეროებში აკეთებენ ნაღმებს. კარტოფილის გორგლებში უმეტესად იჭრებიან თვლებიდან. მატლი ფოთოლში აკეთებს ნაღმებს მთვარ ძარღვსა და მის განშტოებებში, ფოთლებს ახვევს აბლაბუდაში, ყუნწში შეჭრისას ის ღრღნის ყუნწის შიგთავსს, რის გამოც ფოთოლი კვდება. თუ მატლი სახლდება ღეროში, მაშინ მცენარის დაზიანების ადგილის ზედა ნაწილი კვდება. მატლები ადვილად იტანენ ტემპერატურის მკვეთრ ცვალებადობას, გორგლების გაყინვისას ისინი ცოცხალი რჩებიან. ამ მავნებლის ყველა სტადიისათვის ლეტალურ ტემპერატურას წარმოადგენს –4-+36 გრადუსს ზემოთ ტემპერატურა. კარტოფილის ჩრჩილი საქართველოში სავარაუდოდ დაბალ ზონაში იძლევა 6-7 თაობას. კარტოფილის ჩრჩილის გამოვლენა ვიზუალური დათვალიერებისას საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით ბუნებაში, რადგან ის ფარულ ცხოვრებას ეწევა.

კარტოფილის ჩრჩილით ზიანდება შემდეგი კულტურები: კარტოფილი (გორგლები და ვეგეტატიური ნაწილი), ბადრიჯანი, თამბაქო, პომიდორი(ნაყოფი და ვეგეტატიური ნაწილი)წიწაკა, ველური მცენარეებიდან აზიანებს ონტკოფას, ძაღლყურძენას, ლემას, ბელადონას. საველე პირობებში კარტოფილის ნათესებზე ჩრჩილით დასახლება აღწევს 80-90%-ს, ხოლო გორგლების დაზიანება 75-85%-ს, ანალოგიურად სიძლიერით მავნეობს შენახვის პირობებშიც.

მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად შეგვიძლია შემდეგი ღონისძიებების გატარება: თესვის წინ ნიადაგის ფენის 17-22 სმ-ის სიღრმეზე დაბარვა (ამობრუნება) და სათესლე კარტოფილის ჩათესვა მაქსიმალურად დასაშვებ სიღრმეზე 14 სმ-ზე,კოკოლის გაკეთება არა ნაკლებ 8 სმ სიმაღლისა. ასევე კარტოფილის მიწისზედა აღმონაცენის მოთიბვა და განადგურება კარტოფილის მოსავლის ამოღებამდე ერთი კვირით ადრე. აუცილებელია კარტოფილის მაქსიმალურად მოკლე დროში ამოღება და მინდვრიდან გატანა, კარტოფილის გორგლების ფუმიგაცია ან დამუშავება ბიოპრეპარატ ლეპიდოციდით მოსავლის აღებისთანავე 1% სუსპენზიაში ჩაძირვით და შეშრობით ჩრდილში. შენახვის პერიოდში სათესლე კარტოფილი უნდა გადაირჩეს და ცალკე შეინახოს 3 გრადუსზე. შესანახი სარდაფები ან სათავსები წინასწარ უნდა დამუშავდეს ქლორიანი კირით; დაზიანებული გორგლები და მათი ანარჩენები, მიკრული მიწის გოროხები, ნათლები უნდა ჩაიყაროს საუტილიზაციო, გასანადგურებლად ამოთხრილ–1-1,5 მ სიღრმის ორმოში, წაეყაროს ქლორიანი კირი და გადაეყაროს მიწა. ბიოპრეპარატებიდან გამოიყენება; ბიტოქსიბაცილინი, ბოვერინი, შარდოვანა, რომლის დროსაც ნადგურდება მატლები და ხდება მცენარის ფესვგარეშე გამოკვება ანუ მწვანე მასის შესხურება. ქიმიური პრეპარატებიდან გამოიყენება: ზოლონი, დინგო, ბი-58 ახალი, აქტელიკი, ნურელ-დ, დეცის-ექტრა, მხოლოდ, ნაღმების გაკეთებამდე ვეგეტაციის პერიოდში.

სათესლე ნაკვეთების შესხურება ასევე ვეგეტაციის პერიოდში დიმილინით (გორგლები საკვებად არ გმოიყენება.) გასათვალისწინებელია ასევე ფიტოსანიტარიული რისკიც. მავნებელი ვრცელდება ყველა სტადიაში კარტოფილის გორგლებით და ძაღლყურძენასებრთა კულტურების ნაყოფებით. უნდა გატარდეს საკარანტინო ღონისძიებებიც: კარტოფილის ჩრჩილის გავრცელების ქვეყნებიდან იმპორტირებული კარტოფილის ყველა პარტიის ფიტოსანიტარიულ–საკარანტინო შემოწმება, საკარანტინო მავნებლის – კარტოფილის ჩრჩილის სხვა რაიონებში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დაუშვებელია ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიიდან კარტოფილის სათესლე მასალის გამოყენება სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე; დასნებოვნების ზონაში უნდა ჩატარდეს შემდეგი ბრძოლის ღონისძიებები: საცავებში არსებული სათესლე კარტოფილის ქიმიური დამუშავება მფლობელების მიერ,საცავებში არსებული სასურსათო კარტოფილის ფუმიგაცია მფლობელების მიერ, თესლბრუნვა, მავნებლის საწინააღმდეგო აგროტექნიკური წესების დაცვა.

უფრო დაწვრილებით ბიო და ქიმიური პრეპარატების სწორედ გამოყენების წესებზე ინფორმაცია ფერმერებს და კოოპერატივებს შეუძლიათ მიიღონ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ხაშურის ფილიალში.

თ. ხარიკაძე

<u>საპატიო ხაშურელის</u>
<u>საპატიო საქმე, რომელიც თაობებს ჭვდება</u>

ვახტანგ კვინიკაძე: მე არამატო ჭიდაობას, ადამიანობას ვასწავლი. ჩვენთან ვარჯიში "მამაო ჩვენო"-თი იწყება



არასდროს მომბეზრდება, ვწერო ადამიანებზე, რომლებიც არა მხოლოდ თავისი საქმითა და პროფესიონალიზმით ამახსოვრებენ თავს საზოგადოებას, არამედ მათთან უერთიერთობა ერთგვარი ფუფუნებაა, სითბო მოდის და სიკეთე, მადლი, რომელიც სინათლესავით წვდება თაობებს. უკვე მერამდენედ, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვიცნობდი ადამიანს, რომელმაც ჩვენი ქალაქის წარმატების ანგარიშზე უამრავი ჯილდო და ტიტულიანი მოჭიდავის აღზრდა დადო. ეს ფაქტიც ჩვენი ქალაქის დღეობაზე, საპატიო ხაშურელის ჯილდოს გადაცემისას გახდა ჩემთვის ცნობილი და მორიგი შეცდომის გასასწორებლად ბატონ ვახტანგ კვინიკაძეს, მისივე აღსაზრდელების გარემოცვაში ვესტუმრე– ძალიან ეუცნაურა, როდესაც არახაშურელად მოვიხსენიე, ადამიანი რომელიც მთელი თავისი შეგნებით, ცხოვრების წესითა და მოღვაწეობით ეკუთვნის ხაშურს. მინდა თქვენც ახლოს გაგაცნოთ წარმატებული მწვრთნელი, ღირსეული მამა და წარმატებული შვილიშვილის ბაბუა–რომლის სამსახური, კიდევ დიდხანს დაჭირდება ჩვენს რაიონს:

_ბატონო ვახტანგ, საიდან დაიწყო თქვენი სპორტით, ჯერძოდ ჭიდაობის ამ სახეობით დაინტერესება და როგორ მოხვდით ხაშურში?

–ჭიდაობა გვიან, 16 წლის ასაკში დავიწყე. საქართველოს ჩემპიონი ვარ თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. დავიბადე ხარაგაულის სოფელ მოლითში, თავდაპირველად, ქუთაისში დავდიოდი სავარჯიშოდ. ერთი წლის შემდეგ ზესტაფონში გადმოვედი და სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავაბარე საქართველოს სახელწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, სადაც მწვრთნელ-მასწავლებლის სპეციალობა მივიღე. გამანაწილეს ხარაგაულში, სადაც ერთი წელი ვიმუშავე მწვრთნელად. და 1973 წელს გადმოვედი ხაშურში სამუშაოდ, ბატონ ზურაბ მოსეშვილის ხელშეწყობით, რომელიც იმ დროს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე იყო. ბატონმა ზურაბმა მომცა ჭიდაობის სექციები სპორტსკოლაში. დარბაზის უქონლობის გამო, ყოფილი სტამბის შენობა მოვაწყეთ საჭიდაო დარბაზად, ნაჭრის ლეიბებზე ვავარჯიშებდით ბავშვებს. თავისუფალი ჭიდაობა მე შემოვიტანე ხაშურში, კლასიკურ ჭიდაობაში გოგი ბარბაქაძე ავარჯიშებდა.

_როგორ მოახერხეთ მოსწავლეების დაინტერესება, როგორც ვიცი, ხაშურში მანამდე არ იცნობდნენ თავისუფალი სტილით ჭიდაობას.

–ჩამოვიარეთ სკოლებში, მივაწოდეთ ინფორმაცია ბავშვებს და დავიწყეთ მიღება. თავიდანვე დიდი დაინტერესება წამოვიდა. ბატონ ზურაბს ძალიან უყვარდა ჭიდაობის ეს სახეობა, ძალიან გვეხმარებოდა და გვიწყობდა ხელს, მოგვიანებით, მისი სახელობის ტურნირიც ჩავატარეთ, მისი დამსახურების პატივსაცემად არამარტო ჭიდაობის, სპორტის ყველა სახეობაში შეტანილი წვლილისა და მხარდაჭერისათვის.

_ალბათ, ბევრი წარმატებული და ტიტულოვანი მოჭიდავე აღუზარდეთ ჩვენს რაიონს...

– ვალერი გელაშვილი ჩემი მოსწავლე იყო, ძალიან ძლიერი მონაცემების. აქ უკვე აღარ მყავდა მაგის შესაძლებლობების მოჭიდავე, თბილიში წავიყვანე სპორტულ სკოლა-ინტერნატში. არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ევროპაზე ვეღარ გააგრძელა ასპარეზობა ტრავმის გამო. მერე მოხვდა ვილნიუსის ნაკრებში, სადაც გააგრძელა სპორტული კარიერა. გარდა ვალერისა, ევროპის ჩემპიონი გახდა ულუმბელაშვილი თედო. საბჭოთა კავშირის ჩემპიონები მყავდა,ცხოვრებაძე ვაჟა, ღონდაძე ბადრი.

_როგორი თაობა მოდის, რამდენად დიდია ჩვენი შანსები საერთაშორისო ტურნირებზე?

–აქამდე, გორი უფრო წარმატებული იყო პატარებში თავისუფალ ჭიდაობაში, დღეს ჩვენ საქართველოს 4 ჩემპიონი გვყავს,გორს ერთი. ძალიან იმედის მომცემი თაობა მოდის. ძალიან ძლიერი ბავშვები გვყავს, განსაკუთრებით სურამის მხრიდან, ჩუმათელეთი-ბუღაურას დასახლებიდან. გვყავს ევროპის ჩემპიონი, ევროპის II და III პრიზიორი, ასევე, მსოფლიო პრიზიორები. დიდებში ვეღარ ვამართლებთ, რადგან სკოლის დამთავრების შემდეგ მიდიან სასწალებლად, აქ რომ იყოს უნივერსიტეტი, დაკავდება, ვარჯიშსაც აქ გააგრძელებს. წასვლის შემდეგ, ზოგი ანებებს ჭიდაობას თავს.

_მსურველებისათვის რამდენად ხელმისაწვდომია სპორტის ეს სახეობა?

–როდესაც ბავშვი მოდის, კითხულობს სწავლის გადასახადის ღურებულებას და როდესაც იგებენ, რომ უფასოა, მეორე დღესვე იწყებენ სიარულს. ჯგუფში უნდა მყავდეს 18 და მყავს 30 ბავშვი. ჩვენთან ყოველი ვარჯიში „მამაო ჩვენოთი" იწყება. მე მარტო ჭიდაობას არ ვასწავლი, ბავშვები აქ ურთიერთობებს, ჯანმრთელი ცხოვრების წესს, რეჟიმს სწავლობენ. შეიძლება ყველამ წარმატებას ვერ მიაღწიოს, მაგრამ ჯანმრთელი ფსიქიკისა და ფიზიოლოგიის იზრდებიან.

ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე, 10 წელი რუსეთში ვიყავი წასული სამუშაოდ, დამირეკა ვალერი გელაშვილმა და დამაბრუნა ხაშურში. უზომოდ მადლობელი ვარ მისი, რადგან მომცა შესაძლებლობა, მეკეთებინა საქმე, რომელიც ჩემი ცხოვრების მთავარი საქმეა.

_ტურნირები თუ ტარდება?

–ჩვენთან ვატარებთ შიდასარაიონო შეჯიბრებას, წელიწადში 2-ჯერ. ტარდება ჩემი სახელობის ტურნირები, აგრეთვე ასაკობრივი ტურნირები, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვცადოთ ჩვენი შესაძლებლობები ადგილობრივ დონეზე, რათა მოვამზადოთ და გამოცდილება მივცეთ ბავშვებს შემდგომი, უფრო მასშტაბური ხასიათის ტურნირებზე ასპარეზობისათვის.

_თქვენი შვილი და შვილიშვილი წარმატებით აგრძელებენ საქმეს, რომელიც თქვენ შეაყვარეთ, რამდენად ღირსეული გამგრძელებლები არიან?

–76წლიდან მწვრთნელი ვარ. ჩემმა შვილმაც გააგრძელა ჩემი საქმე, ის უფროსების მწვრთნელია, მე პატარებში ვარ. ძალიან ძლიერი მოჭიდავეები ჰყავს. თვითონაც წარმატებული მოჭიდავე იყო, დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი,და საბჭოთა კავშირის შრომითი რეზერვის სპარტაკიადის ჩემპიონი. ჩემი შვილიშვილიც წარმატებული და იმედისმომცემი მოჭიდავეა, სულ რამდენიმე დღის წინ, ერევანში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ოთხი დიდი ქვეყანა მონაწილეობდა, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, ახალგაზრდებში, პირველი ადგილი დაიკავა, რაც დიდი სიხარულია ჩვენი ოჯახისა და ჩვენი რაიონისათვის.

_ადგილობრივი ხელისუფლებისგან თუ გაქვთ მხარდაჭერა?

–ძალიან გვეხმარება და გვიწყობს ხელს მუნიციპალიტეტის გამგებელი და სპორტის სამსახური. დაფინანსებაც გვაქვს შესაძლებლობის ფარგლებში. პრობლემას სპორტული დარბაზის უქონლობა წარმოადგენს, სადაც ბავშვები კომფორტულ გარემოში შეძლებენ ვარჯიშს, გამგებელი დაგვპირდა დარბაზის აშენებას, სადაც სპორტის ყველა სახეობა იქნება თავმოყრილი.

_საუბრის დასაწყისში, თქვენ იმერულ წარმომავლობას გავუსვი ხაზი, თქვენი შენიშვნის შემდეგ, მივხვდი, რამდენად ძვირფასია ქალაქი, რომელიც თქვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან და დიდ პერიოდს მოიცავს თავისი ურთიერთობებით. რას ნიშნავს საპატიო ხაშურლობა თქვენთვის? როგორ ფიქრობთ, დაგიფასათ ხაშურმა ღვაწლი და დამსახურება?

–ჩემთვის დიდი სიხარულია ეს. რაც აქამდე მინდოდა სიკეთის კეთება, ამ ფაქტმა მომცა ძალიან დიდი სტიმული, შემართების და მეტი სიკეთის გაცემის. სანამ ცოცხალი ვარ, ვეცდები ძველებური შემართებით და სიყვარულით ვემსახურო ჩემს საქმეს, ჩემს ქალაქს.

თ. ჯავახიშვილი

ანაგარას ადრე შუასაუკუნეების (?) წმ. გიორგის ეკლესია

ხაშურის რაიონში ჯერ კიდევ არა, ერთი ძეგლია, რომელიც არათუ შესწავლილი, არამედ აღრიცხულიც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1984 წელს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად შემოვიარეთ რაიონი მატერიალურ კულტურის ძეგლების აღრიცხვის, აღწერის და ფოტოფიქსაციის თვალსაზრისით, მაინც ვერ მოხერხდა ყველა ძეგლთან მისვლა, ან მაშინ ჩვენთვის ცნობილი არ იყო მათი არსებობა. ასე მაგალითად, მოგვიანებით გახდა ცნობილი ნამონასტრალი ალში მონასტრის სერზე, ნინისისა და ქემფერის წმინდა ნინოს ეკლესიები, ყვავის საყდარი ნიკორთში, ეკლესიის ნანგრევები ულუმბოში სახტრის ხელის სათავეში და ა.შ. ერთ-ერთი საინტერესო ძეგლი, რომელთანაც მაშინ მისვლა ვერ მოვახერხეთ, იყო ანაგარას წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოდან იყო ცნობილი ჩვენთვის.

ანაგარა ორია: დიდი და პატარა. პატარა ანაგარა სოფელ დამჩხეულას ერთ-ერთი უბანია, მდებარეობს მის სამხრეთით. მას კურტანიძეების უბანსაც ეძახიან. დიდი ანაგარა ასევე სოფლის სამხრეთით, ღორინამკლის მთის ძირშია. წმ. გიორგის ეკლესია სწორედ დიდ ანაგარაზე მდებარეობს.

აღნიშნული ეკლესია პირველად 1967 წელს ვინახულეთ, როცა მის მახლობლად მოწყობილი იყო ტურისტული ბანაკი და ღორინამკლის წვერზე ლაშქრობის შემდეგ გზად მომავლებმა ვებერთელა ტრიალ მინდორზე შევისვენეთ. მაშინ გახდა ცნობილი, რომ ამ ადგილს ანაგარას უწოდებდნენ. მინდვრის ცენტრში ამოსული იყო ორი ვებერთელა ნაძვის ხე, მათთან ახლოს კი კარგად მოჩანდა ეკლესიის ნანგრევები, რომელიც ეკალბარდებს დაეფარა. შემდეგ 1970 და 1972 წლებში კიდევ მომეცა საშუალება, მენახა ანაგარას წმ. გიორგის ეკლესია. მაშინ ძეგლის მიმართ პროფესიული ინტერესი არ გამოგვიჩენია, რაც შემდგომში, სტუდენტობის წლებში გაჩნდა საერთოდ ძეგლების მიმართ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 1984 წელს ვერ მოვახერხეთ ძეგლის ნახვა და მისი სათანადოდ აღწერა (მაშინ გროვდებოდა მასალა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ მე-5 ტომისათვის, რომელშიც უნდა შესულიყო ქართლის რეგიონის ძეგლები).

მას შემდეგ ხშირად გვინდოდა ძეგლის მონახულება, არაერთხელ გამოთქვა სურვილი დამჩხეულის მკვიდრმა, აწგანსვენებულმა თამაზ ტაბატაძემ მეგზურობისა, მაგრამ ისე წავიდა ამ ცხოვრებიდან, რომ ეს ვერ მოვახერხეთ. და აი, როგორც იქნა, 2011 წლის 27 ივლისს, უკვე მისი ვაჟის ავთანდილ ტაბატაძის მეგზურობით გავემგზავრეთ ძეგლის მოსანახულებლად. სახელდახელოდ შემდგარ ექსპედიციაში შედიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ანა და მარიამ ფარეიშვილები, სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ლაცაბიძე, სტუმარი ახალი ზელანდიიდან სტივენ შონჰენრეთი. მოგვიანებით, უკვე ანაგარაზე შემოგვიერთდნენ დამჩხეულელები: ნიკო, ბეგლარ, გიორგი, ვალერი, სოსო ტაბატაძეები, თამაზ, თემურ გოგალაძეები და სხვები.

40 წლის შემდეგ, როგორც იქნა, კიდევ დავდგი ფეხი ანაგარაზე. სადღა იყო ის ტრიალი მინდორი, რომელიც ახლა ხელოვნურად გაშენებულ თუ ბუნებრივად ამოსულ ტყეს დაეფარა. ნაეკლესიარი იმ ორი ნაძვისხით, რომლებიც ისეთივე მედიდურობით გამოირჩეოდნენ როგორც მაშინ, შევიცანით.

მართალია, ძეგლი მთლიანად დანგრეულია, ჩამოშლილია კედლები, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

ერთი შეხედვით, ეკლესია ერთნავიანი ჩანდა. კარგად იკითხებოდა ჩრდილოეთის კედლისწყობა, საკურთხევლის მოხაზულობა. მცირე გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ გამოჩნდა ჩრდილოეთის კედლის პარალელური კედლის ნაშთები. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვნახეთ ჩრდილოეთის ნავი. დიდი შესაძლებლობაა ასეთივე ნავი იყოს სამხრეთის მხარესაც. იმ დღეს სხვა ვერაფრის გაგება ვერ შევძელით, საჭირო იარაღი არ გაგვაჩნდა და საღამოს გამოვემგზავრეთ ხაშურისაკენ.

იმდენად დიდი იყო ძეგლით გამოწვეული ინტერესი ადგილობრივ მაცხოვრებლებში, რომ 6 აგვისტოს უკვე მის გასაწმენდად ავიდნენ ანაგარაზე. 19 აგვისტოს მამა ნიკოლოზთან (ბითაძე) და ავთანდილ ტაბატაძესთან ერთად კიდევ მოვინახულეთ ძეგლი, რომლის ჩრდილოეთის ნავი ნაწილობრივ გაწმენდილი დაგვხვდა. შემდეგ სექტემბერში კიდევ ერთხელ ავიდნენ ენთუზიასტები, ბოლომდე მიიყვანეს ჩრდილოეთის ნავის გაწმენდითი სამუშაოები, ნაწილობრივ ქვა-ღორღი შემოაცილეს დასავლეთის მხარეს. შემდეგ ამინდებიცშეიცვალა და სამუშაოები შეწყდა. თუმცა მათ მყარად აქვთ მიღებული გადაწყვეტილება, ბოლომდე მიიყვანონ ეკლესიის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის გაგრძელებასაც მომავალი წლიდან აპირებენ.

შესრულებულმა სამუშაოებმა უფრო გააადვილა ეკლესიის „წაკითხვა“.

ეკლესია სამნავიანია, თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ სამხრეთის ნავი ჯერ-ჯერობით ვერ გამოვაჩინეთ. წინასწარი მონაცემებით ძეგლი თარიღდება ადრე შუასაუკუნეებით. ნაგებია ადგილობრივი კლდის ქვით, გამოყენებულია შირიმის ქვაც. ეკლესიის გეგმა თითქმის კვადრატს უახლოვდება (13x13). კარგად ჩანს ცენტრალური ნავი. რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. ჩრდილოეთის ნავი აღმოსავლეთით ასევე ნახევარწრიული აფსიდით არის წარმოდგენილი. ნავის გაწმენდის დროს გამოჩნდა ცენტრალური და ჩრდილოეთისნავის დამაკავშირებელი კარი. ასეთივე ნავი, როგორც ზემოთი თქვა, უნდა ვივარაუდოთ სამხრეთის მხარესაც. ეს ადგილი მთლიანად ჩანგრეულია და უფრო დაბლაა ეკლესიის ძირითადი დონიდან. ამიტომ ამ მხარის გაწმენდამდე ძნელია დაბეჯითებით რაიმის თქმა. სხვას ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვიტყვით, რადგან ეკლესია, როგორც შიგნით, ასევე გარეთ სავსეა ჩამონაშალი სამშენებლო ქვით.

ვფიქრობთ, ეკლესიის გაწმენდითა და მისი შესწავლით ერთ-ერთ საინტერესო ძეგლთან გვექნება საქმე. ალბათ, შემდეგ მიზანშეწონილი იქნება მისი აღდგენაც და აქ სამონასტრო ცხოვრების აღორძინებაც.

თამაზ ლაცაბიძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საჩუქარი - ბავშვებს

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ცხრამუხის მაჟორიტარმა, ფრაქცია „ხაშურის აღორძინების" თავმჯდომარე პავლე ლაცაბიძემ ხაშურის მუნიციპალიტეტის 1 საბავშვო ბაღს საჩუქრად მაგიდები გადასცა. ახალი ინვენტარს სიხარულით შეხვდნენ როგორც ბაღის აღსაზრდელები, ისე დირექტორი მარინე ღონღაძე და პედაგოგები. ინვენტარის განახლების საკითხი ბაღის ერთ-ერთმა აღმზრდელმა საკრებულოს თავმჯდომარის საანგარიშო შეხვედრაზე წამოჭრა.

საბავშვო ბაღებში განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად, აქტუალურია მოძველებული ინვენტარის განახლების თემა, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება ეტაპობრივად გეგმავს. მანამდე კი ამ მცირედი საჩუქრით გაიხარეს პატარებმა და მადლიერება სახელდახელო კონცერტით გამოხატეს.

სხვათაშორის, ეს ქველმოქმედება ბატონი პავლესთვის პირველი არ არის და ბუნებით მეცენატისათვის მსგავსი ქმედება, ერთგვარად, ცხოვრების წესია, რისთვისაც ეს ღირსეული პიროვნება მართლაც მადლობას იმსახურებს.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხაშურის მოამბე" №20.

1. ბეგა I სურამელის სახელი

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში ბეგა I სურამელის სახელის თაობაზე ორი განსხვავებული მოსაზრება არსებობს: მკვლევართა ერთი ნაწილი მის სახელს „ბექას", მეორე ნაწილი კი „ბეგას" ფორმით მოიხსენიებს. ამ უცნაურ მოვლენას თავისი ლოგიკური მიზეზი აქვს: ბეგა I სურამელის სახელი დღემდე ცნობილ მხოლოდ ორ წერილობით ძეგლში – მეფე თამარის I ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაშია" დადასტურებული. აქედან„„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" ბეგა I-ის სახელი „ბექასა" და „ბეგას" ფორმებით, ხოლო „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში" „ბეშქენის" ფორმით გვხვდება. ამ სამ ფორმას შორის ქართველმა მკვლევრებმა უპირატესობა იმთავითვე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" დადასტურებულ ფორმებს – „ბექასა" და „ბეგას" მისცეს..

ჩვენი დაკვირვებით, იმ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, თუ ბეგა I სურამელის სახელის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში" წარმოდგენილ ორ ფორმას – „ბექასა" და „ბეგას" შორის რომელი ფორმა უფრო მართებულია, საჭიროა არსებობდეს საკონტროლო მასალა, რომელიც ამ ორი ფორმიდან ერთ-ერთის მართებულებას დოკუმენტურად დაადასტურებს. აქამდე ასეთ საკონტროლო მასალას სამეცნიერო საზოგადოება არ იცნობდა და შესაბამისად, ბეგა I-ის სახელის საკითხიც გადაუჭრელი იყო.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება შემდეგი:

1. ბეგა I სურამელის სახელის მართებული ფორმა „ბეგა" იყო.
2. მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ შედგენილი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" იმ ფრაგმენტის ტექსტი, რომელშიც 1161 წლის ახლო ხანებში ქალაქ ანისის მიდამოებში გამართული ბრძოლის ამბავია მოთხრობილი, ზუსტდება შემდეგი სახით: „მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბეგას სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა მათთანათა".

2. ბეგა I სურამელის სამოხელეო წოდება.

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ბეგა I სურამელი ერისთავის სახელოს არ ფლობდა. ამასთან, აღნიშნული მოსაზრება მთლიანად იმ ფაქტზეა დამყარებული, რომ ბეგა I აქამდე ცნობილ არც ერთ წერილობით ძეგლში ერისთავის წოდებით არ არის მოხსენიებული.

გვერდისუბნის წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ მიღებული ეს მოსაზრება მართებული არ არის და ბეგა I სურამელი ერისთავის სახელოს ნამდვილად ფლობდა. იგი სწორედ ერისთავის წოდებით არის მოხსენიებული გვერდისუბნის წარწერაში: „მე, † რატი ერისთავმან, ძემან † ბეგაჲ ერისთავისამან, ავაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ".

3. ქართლის ერისთავის ბეგა I სურამელის ერისთავობის ქრონოლოგია

ბეგა I სურამელის ერისთავობის ქრონოლოგიის შესახებ სულ სამი ირიბი ცნობა მოგვეპოვება. ესენია:

1. მეფე თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ზემოთ უკვე ციტირებული ფრაგმენტი, რომელშიც 1161 წლის ახლო ხანებში ქალაქ ანისთან გამართული ბრძოლის ამბის გადმოცემისას ბეგა I სურამელი რაიმე სამოხელეო წოდების გარეშეა მოხსენიებული: „[მეფე გიორგი III-ემ] მოუწოდა ამირახორსა მისსა სუმბატის ძესა ლიპარიტს, ბეგას სურამელსა, ქირქიშს აბულეთის ძესა და სამ ათასთა მათთანათა".
2. იმავე „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მეორე ფრაგმენტი, რომელშიც 1177 წელს მომხდარი ე.წ. ორბელთა გამოსვლის ამბის გადმოცემისას ქართლის ერისთავის წოდებით ლიპარიტ სუმბატის ძე ორბელია მოხსენიებული: „[მეფე გიორგი III] აღვიდა და მოადგა ლორესა. მუნიდაღმან წარსრულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, რომელნი-ესე გიორგისგანვე იყვნეს ჭელისუფალნი, და ანანია დვინელი, ზოგნი შაჰარმენისა, ზოგნი ელდაგუზის ძეთა თანა".45



3. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" მესამე ფრაგმენტი, რომელშიც 1184 წელს მომხდარი ე. წ. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის ამბის გადმოცემისას ქართლის ერისთავად რატი სურამელია მოხსენიებული: „და ამას შინა თამარ, წარმგზავნელმან ორთა საპატიოთა დიოფალთამან, რომელი იყო ერთი ხუაშაქი ცოქალი, დედა ქართლისა ერისთავთერისთავისა რატისი, და ერთი კრავი, ჯაყელთა დედა, აწ მყოფთა სამძივართა, უბრძანა ფიცით მონდობა და სხჳსა არავისი ბრალობა". როგორც ვხედავთ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ციტირებული ფრაგმენტებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ბეგა I სურამელს ქართლის ერისთავის სახელო შეეძლო მიეღო მხოლოდ ორ კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში: 1. 1161 წლიდან 1177 წლამდე პერიოდში ანუ მანამდე ვიდრე ეს თანამდებობა ლიპარიტ I ორბელმა დაიკავა; და 2. 1177 წლიდან 1184 წლამდე პერიოდში ანუ მას შემდეგ, რაც ლიპარიტ I-მა ქართლის ერისთავის წოდება დაკარგა და მანამდე, ვიდრე ეს სახელო ბეგა I-ის ვაჟს რატი სურამელს გადაეცა.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია და ბეგა I სურამელმა ქართლის ერისთავის სახელო ნამდვილად ლიპარიტ I ორბელის შემდეგ დაიკავა, მაშინ გამოდის, რომ 1177 წელს მოვლენები შემდეგი სახით განვითარდა: საქართველოს მეფე გიორგი III-მ მის წინააღმდეგ მოწყობილი ე.წ. ორბელთა გამოსვლა სისხლში ჩაახშო და ამბოხების სათავეში მდგომი ორბელთა საგვარეულოს წევრები სასტიკად დასაჯა. მეფე გიორგი III-მ ამბოხების ერთ-ერთ მოთავეს, აზერბაიჯანის ათაბაგთან გადახვეწილ ქართლის ერისთავ ლიპარიტ I ორბელს ქართლის ერისთავობა ჩამოართვა და ეს სახელო თავის ძველ თანამებრძოლსა და ერთგულ ფეოდალს ბეგა I სურამელს გადასცა.

საერთოდ, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ სურამელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მიერ ქართლის ერისთავის თანამდებობის მიღების ქრონოლოგიის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ზუსტად ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული. ამ, საყოველთაოდ მიღებული მოსაზრების თანახმად, 1177 წელს მეფე გიორგი III-მ ლიპარიტ I ორბელს ქართლის ერისთავის სახელო ჩამოართვა და ეს თანამდებობა რატი სურამელს გადასცა.

მაშასადამე, საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ბეგა I სურამელის ქართლის ერისთავობის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის ზუსტად დადგენა, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, ჯერჯერობით, შეუძლებელია. სამაგიეროდ, სავსებით რეალურია, მიახლოებით განისაზღვროს, თუ რა დრომდე ფლობდა ბეგა I ქართლის ერისთავის სახელოს. ამ მიმართულებით მსჯელობისას, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ, ერთი მხრივ, ბეგა I სურამელის მიერ ქართლის ერისთავობის მიღებასა (1177 წ.) და მეორე მხრივ, ქართლის ერისთავად მისი ვაჟის, რატი სურამელის მოხსენიებას (1184 წ.) შორის შვიდწლიანი ქრონოლოგიური მონაკვეთია მოქცეული. ჩვენ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთს, პირობითად, ორ თანაბარ ნაწილად ვყოფთ. აქედან, პირველ ნაწილს (1177 წ. – 1180იანი წწ-ის დასაწყ.) ბეგა I-ის ერისთავობის ხანას, ხოლო მეორე ნაწილს (1180-იანი წწ-ის დასაწყ. – 1184 წ.) რატი სურამელის ერისთავობის პერიოდს მივაკუთვნებთ და საბოლოოდ, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქართლის ერისთავის ბეგა I-ის გარდაცვალებასა და მისი ვაჟის რატი სურამელისათვის ქართლის ერისთავის სახელოს გადაცემას 1180-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება შემდეგი:

1. ბეგა I სურამელი ქართლის ერისთავის სახელოს 1177 წლიდან 1180-იანი წლების დასაწყისამდე ფლობდა.
2. ქართლის ერისთავის ბეგა I სურამელის ვაჟმა, რატი სურამელმა ქართლის ერისთავის სახელო მამის გარდაცვალების შემდეგ 1180-იანი წლების დასაწყისში მიიღო.

4. ქართლის ერისთავის რატი სურამელის მიერ გვერდისუბნის ეკლესიის აღშენება და შესაბამისი ქტიტორული წარწერის შედგენა

4. ქართლის ერისთავის რატი II სურამელის მიერ გვერდისუბნის ეკლესიის აღშენება და შესაბამისი ქტიტორული წარწერის შედგენა გვერდისუბნის საადმშენებლო წარწერაში რატი II-ის მიერ ეკლესიის აგების ამბავია მოთხრობილი: „მე,† რატი ერისთავმან,ძემან † ბეგაჲ ერისთავისამან,ავაშენე წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სალოცველად სულისა ჩემისა და სალხინებელად ცოდვათა ჩემთა".

სამწუხაროდ, რატი II-ის ქტიტორობით აგებულმა, წარწერაში მოხსენიებულმა ტაძარმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. შესაბამისად, მისი არქიტექტურული იერსახის შესახებ, ამ ეტაპზე, აბსოლუტურად არაფრის თქმა არ შეგვიძლია.

მნიშვნელოვანი აღმოჩენა
(ნაშრომი იბეჭდება მცირე შემოკლებით)
1180-1210-იანი წლების უცნობი სასაღმშენებლო წარწერა სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიიდან ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი II სურამელების მოხსენიებით
თემო ჯოჯუა, თამაზ გოგოლაძე

სამაგიეროდ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეკლესია გვერდისუბნის ღმრთაების ამჟამინდელი ტაძრის ადგილას ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო აღმართული, რადგან ძნელი წარმოსადგენია, ამჟამინდელი ეკლესიის მაშენებლებს ეს წარწერა, კედელში თავდაყირა ჩასაყოლებლად, შორი მანძილიდან მოეტანათ. სამწუხაროდ, რატი II-ის მიერ აგებული ტაძრის ადგილმდებარეობის ამაზე უფრო ზუსტად მითითება, ჯერჯერობით, შეუძლებელია, ვინაიდან გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესია და მისი ეზო, არქეოლოგიური თვალსაზრისით, შესწავლილი არ არის.

გვერდისუბნის წარწერას თარიღი არ უზის. წარწერაში არც რატი II-ის მიერ ეკლესიის აღშენების თარიღია მითითებული. მიუხედავად ამისა, ტაძრის აგებისა და წარწერის შედგენის მიახლოებითი ქრონოლოგიის განსაზღვრა მაინცადამაინც რთული ამოცანა არ არის: წარწერაში ეკლესიის აღმშენებელი რატი II ქართლის ერისთავის წოდებით არის მოხსენიებული. იმავდროულად, ზემოთ უკვე გავარკვიეთ, რომ რატი II ქართლის ერისთავის სახელოს 1180-1210-იან წლებში ფლობდა. შესაბამისად, საბოლოოდ ირკვევა ისიც, რომ რატი II-ის მიერ ეკლესიის აღშენებასა და შესაბამისი ქტიტორული წარწერის შედგენას იმავე 1180-1210-იან წლებში ჰქონდა ადგილი.

მას შემდეგ, რაც დავადგინეთ, რომ რატი II-მ ციხე-ქალაქ სურამის მიდამოებში ეკლესია ააგო, ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს ვარძიის მონასტრის მთავარი ტაძრის წარწერა, რომელიც გვაუწყებს, რომ ეს გამოქვაბული ეკლესია სწორედ რატი II-მ მოახატვინა: „ჵ,დმრთისა დედაო,მიითჳალე ესე მცირედი მსახურებაჲ ჩემ მიერ, მონისა შენისა, რატი [--------]ა და ქართლისა ერისთვისაგან, რომელმან ვიგულსმოდგინე და მოხატვით აღვამკე წმიდაჲ ესე ტაძარი დიდებისა შენისაჲ..." როგორც ვხედავთ, გვერდისუბნის ეკლესიისა და ვარძიის მონასტრის მთავარი ტაძრის წარწერებზე დაკვირვება თვალნათლივ აჩვენებს, რომ რატი II აქტიურ ქტიტორულ საქმიანობას ეწეოდა და იგი მატერიალურად უზრუნველყოფდა

როგორც ეკლესიების საადმშენებლო, ისე მათი მოხატულობით შემკობის სამუშაოებს. ამასთან, საინტერესოა, რომ რატი II ქტიტორულ საქმიანობას არა მხოლოდ სურამელთა ფეოდალურ მამულში, ციხე-ქალაქ სურამის შემოგარენში, არამედ მისი ფეოდალური მამულის გარეთაც, ქვეყნის სამეფო სახლის კუთვნილ ვარძიის მონასტერშიც ეწეოდა.

დასასრულ, აღვნიშნავთ იმასაც, რომ გვერდისუბნის წარწერა დღეისათვის ცნობილი ერთადერთი წერილობითი ძეგლია, რომელიც სურამელთა ფეოდალური სახლის საეკლესიო საადმშენებლო საქმიანობის შესახებ გვაწვდის ცნობებს: მართალია, ჩვენამდე მოაღწია არაერთმა წერილობითმა ძეგლმა, რომლებშიც XII-XIII საუკუნეებსა და XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწე სურამელების სამხედრო-პოლიტიკური და ქონებრივ-სამართლებრივი საქმიანობის ამბები დაწვრილებით არის გადმოცემული, მაგრამ არც ერთ ამ ძეგლში სურამელთა სახლის რომელიმე წევრის მიერ ეკლესიის აღმშენებლობის ფაქტი დადასტურებული არ არის.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დგინდება შემდეგი:

1. ქართლის ერისთავმა რატი II სურამელმა გვერდისუბნის საადმშენებლო წარწერაში მოხსენიებული ეკლესია გვერდისუბნის ღმრთაების ტაძრის ადგილას ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე 1180-1210-იან წლებში ააგო.
2. ერისთავ რატი II სურამელის სახელით შედგენილი გვერდისუბნის ქტიტორული წარწერა 1180-1210-იანი წლებით თარიღდება.
3. გვერდისუბნისა და ვარძიის მონასტრის მთავარი ეკლესიის წარწერები გვაუწყებს, რომ ერისთავი რატი II აქტიურ ქტიტორულ საქმიანობას ეწეოდა.
4. გვერდისუბნის წარწერა დღეისათვის ცნობილი ერთადერთი წერილობითი ძეგლია, რომელშიც სურამელთა ფეოდალური სახლის საეკლესიო აღმშენებლობის ამბავია მოთხრობილი.

2. სურამელთა ფეოდალური სახლის კავშირი ციხე ქალაქ სურამთან

2. სურამელთა ფეოდალური სახლის კავშირი ციხე-ქალაქ სურამთან

დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში მყარად არის დამკვიდრებული მოსაზრება, რომ XII-XIV საუკუნეებში ციხე-ქალაქი სურამი სურამელთა ფეოდალური სახლის საგვარეულო მამული იყო და მათი გვარიც სურამის მფლობელობიდან იყო წარმომდგარი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება სავსებით ლოგიკური და მისაღებია, სამეცნიერო საზოგადოებისათვის აქამდე ცნობილი არ იყო არც ერთი წერილობითი ძეგლი, რომელიც სურამელთა საგვარეულოს ციხე-ქალაქ სურამთან კავშირის ფაქტს დოკუმენტურად დაადასტურებდა.

გვერდისუბნის ახლადგამოვლენილი წარწერა ამ ხარვეზს თითქმის მთლიანად ავსებს და გვაუწყებს, რომ სურამელთა ფეოდალურ სახლს ციხე-ქალაქ სურამთან ორგანული კავშირი ჰქონდა: 1180-1210-იან წლებში სურამელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ქართლის ერისთავმა რატი II-ემ ციხე-ქალაქ სურამის შემოგარენში ანუ საკუთარ ფეოდალურ მამულში ეკლესია ააგო და ამ ტაძრის კედელზე შესაბამისი ქტიტორული წარწერა ამოკვეთა.

I თაობა: რატი I სურამელი (მოღვაწეობდა 1120-1150-იან წლებში; ჰყავდა ვაჟი – ქართლის ერისთავი ბეგა I სურამელი).

II თაობა: ქართლის ერისთავი ბეგა I სურამელი, ძე რატი I სურამელისა (მოღვაწეობდა 1150-1180-იან წლებში; ერისთავობას ფლობდა 1177 წლიდან 1180-იანი წლების დასაწყისამდე; ჰყავდა თანამეცხედრე – ხუაშაქ ცოქალი და ვაჟი – ქართლის ერისთავი რატი II სურამელი).

III თაობა: ქართლის ერისთავი რატი II სურამელი, ძე ქართლის ერისთა-ვის ბეგა I სურამელისა (მოღვაწეობდა 1170-1210-იან წლებში; ერისთავობას ფლობდა 1180-იანი წლების დასაწყისიდან 1210-იან წლებამდე; ჰყავდა, სულ მცირე, ორი ვაჟი: ქართლის ერისთავი სულა სურამელი და სხვა ვაჟი თუ ვაჟები, რომლის სახელიც ან რომელთა სახელებიც, ჯერჯერობით, უცნობია).

ანი ნოზაძისა და ლიკა კალმახელიძის მორიგი წარმატება

მოკლედ, ეს ბავშვები არ გვაკლებენ სიურპრიზებს. ჯერ იყო და ორჯერ თურქეთი „დაიპყრეს“ და ახლა აზერბაიჯანიც იტრიუმფეს. ჩვენს მკითხველს, ალბათ, ახსოვს მათი „თურქული“ წარმატება, სადაც, დიდი საერთაშორისო ფესტივალიდან გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ. ახლა კი ბაქო და აქაც დიდი ადიარება.

აზერბაიჯანის საერთაშორისო ფესტივალზე საქართველოდან 40 ბავშვი იყო მიწვეული, რომლებიც სხვადასხვა სამუსიკო სკოლებს თუ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ანი ნოზაძესა და ლიკა კალმახელიძეს თან პედაგოგები – თამაზ აბრამიძე და ფატი სადაღაშვილი ახლდნენ და სამდღიანი ფესტივალი ჩვენი პატარა მუსიკოსების ტრიუმფით დასრულდა-ისინი საერთაშორისო ჟიურიმ ფესტივალის საუკეთესო დუეტად ცნო. მათ მიერ შესრულებული ფიოკიოს „ალეგრო“ და ლოვლანდის „აპასიონატა“ კი მხურვალე აპლოდისმენტებითა და ოვაციებით დასრულდა.

პატარა მუსიკოსების ფესტივალში მონაწილეობა ფინანსურად მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყო და მართლაც მისასალმებელია, რომ გამგეობა გვერდში უდგას ნიჭიერ პატარა შემოქმედებს და მათ დიდი მწვერვალებისკენ უხსნის გზას.

გ. მაღრაძე

80 - ვულოცავთ!-80

80 წლის იუბილეს ვულოცავთ ღირსეულ პიროვნებას, ბრწყინვალე ქართველს, შესანიშნავ მეოჯახეს და კარგ კაცს – **გიორგი ცაბაცაძეს**. მან თავისი ცხოვრებით, მოღვაწეობით, საქმიანობით საკუთარი კვალი დაატყო ჩვენს ქალაქს და საამაყოა, რომ ამ კვალს დღეს მისი შვილები აგრძელებენ ღირსეულად.



გიორგობა დღეს დაბადებულს წმინდა გიორგის მაცოცხლებელი წყალობა არ მოკლებოდეს და ასე მხნედ და შემართებით ეცხოვროს კიდევ დიდხანს.

D მეგობრები

ხაშურს თანამედროვე კინოთეატრი ექნება!

დავსხდებით და ვსაუბრობთ, დავსხდებით და ვწუხვართ, ვსხდებით და ჩვენს შავ-თეთრ ქალაქზე ვიწყებთ საუბარს-ერთმანეთთან სტუმრობისას ვსაუბრობთ, ქუჩაში, მაღაზიაში... მერე ოცნებას ვიწყებთ, როგორ დავპატიჟებდით ერთმანეთს ფინჯან ყავაზე, მშვიდ, წყნარ, მუსიკით სავსე გარემოში, კინოშიც შეიძლებოდა წასვლა, კარგი ფილმის ყურება, საღამოს, სამსახურის შემდეგ...უცბად რეალობის შეგრძნება ბრუნდება და ფერები, რომელიც ირგვლივაა, სულაც არ ჰგავს შენი ოცნების ქალაქის ფერებს. ყველაფერი იყოო, იხსენებენ ხოლმე ძველი დროის მიმტირებლები, მე ცოტა მახსოვს, ეს ცოტა არ ჰგავს მიტირებულს, არც ისაა იმედი, ადრე რომ იყო და ახლა ფუნქციადაკარგული კომუნისტური შენობები, ისტორიაგაბეცებული თვალებით გინგრევს ბავშვობაში ჩარჩენილ წარმოსახვას. პათეტიკა ჩვენი გენეტიკური სისუსტეა



ზაფხულში რეჟისორ ნანა ჯანელიძეს უმასპინძლა ჩვენმა ქალაქმა, პროექტით "კინო სკოლაში", კინემატოგრაფიის პოპულარიზაციისა და კინოს ხალხში დაბრუნების მისიით, დაანონსდა ხაშურში კინოთეატრის გახსნა რომელიც მხოლოდ იდეად და შორეულ პერსპექტივად ჩავთვალე. დიდი დრო არ გასულა და ჩემი ყურადღება ქალაქის ცენტრში მდებარე ძველი კინოთეატრის შენობის დემონტაჟმა მიიქცია. ესეც წარმოსახვად და მორიგი სავაჭროცენტრის გახსნად ჩავთვალე. ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, ხაშურს კინოთეატრი უბრუნდება! შ.პ.ს. "ლიტ. ჯეო ინვესტი ,რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარ დეპუტატს, ვალერი გელაშვილს და ლიტვურ კომპანიას ეკუთვნის, ხაშურში თანამედროვე ტექნიკით, ულამაზესი არქიტექტურის კინოთეატრს ააშენებს, რომელშიც 1 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. იფუნქციონირებს ორი, 50 და 100 კაციანი დარბაზი, რომელიც აღიჭურვება თანამედროვე შესაძლებლობებით. დაგეგმილია "დანკინ დონატსის" გახსნა და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მაყურებელს შესძლებლობას მისცემს სრული სერვისით ისარგებლოს, რასაც სთავაზობენ თბილისის დიდი კინოთეატრები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი ფინანსურად მისაღები იქნება ჩვენი მოსახლეობისათვის.

ეს იმ ადამიანებისათვის,ვისაც უყვარს,სჯერა და ფერად საღებავებს ეძებს თავისი ქალაქის შესაღებად!

თ. ჯავახიშვილი

ცეკვით, მუსიკით, პოეზიით გამთბარი დღე

რა ალამაზებს ამ სამყაროს... ასე დაწყო პირველკლასელთა შემეცნებით-გასართობი პროგრამა “ცოდნის კარიბჭესთან”... რომელმაც წლების მანძილზე ტრადიციული ხასიათი მიიღო. ღონისძიების ორგანიზატორები კულტურის ცენტრების გაერთიანების სპეციალისტები ხათუნა გელაშვილი, მაკა ცხადიაშვილი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლალი კახეთელიძე იყვნენ. კულტურის ცენტრების გაერთიანებამ პატარებს მისცა შესაძლებლობა, სცენიდან გადმოეცათ ის ემოციები, რომლებიც მათ პირველ სასწავლო წელს განიცადეს, და რომელიც მათი ცხოვრების წარმატებული დასაწყისისთვის დიდი სტიმულის მიმცემი იქნება. ანი კაპანაძე, მარია ღონღაძე, საბა ტაბატაძე, რატი კაპანაძე, ზურაბ სუბაშვილი, მარიამ ჩერტიშევი, თათია კოჟორიძე, ვიკა აბელიანი, კესო ბარბაქაძე, ვიკა აბელიანი, გიორგი გელაშვილი, დავით გარსევანიშვილი ის მოსწავლეები არიან, რომლებიც შექმნიან მომავალს ხვალინდელი საქართველოსას. ღონისძიებას ხალხური საკრავების გუნდი, ქორეოგრაფიული ანსამბლი "სურამი" და "მულტიპულტი" სძენდნენ მრავალფეროვნებას.

საღამო მიჰყავდათ წმ. დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის მოსწავლე მარიამ გრიგალაშვილს და I საჯარო სკოლის მოსწავლე ლიკა იზორიას. ღონისძიებას აფასებდა ჟიური: საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ზვიად გოგუაძე, კულტურის ცენტრების გაერთიანების მმართველი გიორგი ბოლოკაძე, განათლებისა კულტურის სამსახურის განყოფილების სპეციალისტი ნინო ღონღაძე, ქორეოგრაფი ელენე რატიანი. მონაწილეებმა ერთი დაუვიწყარი და ფერადი დღე აჩუქეს მაყურებელს, რომელიც ცეკვის, პოეზიის და მუსიკის ჰანგებით იყო გამთბარი.

ხათუნა გელაშვილი

მიეძღვნა აკაკი წერეთლის იუბილეს

17 ნოემბერს, საბავშვო ბიბლიოთეკაში ჩატარდა აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. მეშვიდე საჯარო სკოლის მეხუთეკლასელებმა, პედაგოგ ნონა ტეფნაძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს აკაკის ლექსები, სიმღერები და საინტერესო ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან. ბავშვებს აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის შესახებ ესაუბრა უფროსი ბიბლიოთეკარი მანანა აღაჯანოვი. პოეზიის საღამო ტრადიციულად დასრულდა მხიარული კონკურსით, სადაც ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე დიდებულიძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ყველა მონაწილეს და წარმატებები უსურვა მათ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.

D

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტ-
ფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.